მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს ბაზრის კვლევას

მოიჯარე ორგანიზაცია:
მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა [234232149]

საიჯარო ობიექტი:
კულტურის სახლის შენობაში არსებული ინვენტარის განსათავსებელი ფართი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია აწარმოებს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N 106 -ში მდებარე კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაციას, რაც მოითხოვს შენობაში არსებული ინვენტარის სხვა ფართში გადატანას, არსებული ფართის მოძიების მიზნით მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ატარებს ბაზრის კვლევას, რაზეც დაინტერესებულ პირებს ეძლევათ საშუალება არაუგვიანეს 2026 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით (09: 00 საათიდან - 18: 00 საათამდე) წარმოადგინონ წინადადებები - საიჯარო ობიექტის სავარაუდო ღირებულების მითითებით როგორც მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მომსახურების განყოფილებაში დახურული პაკეტის სახით ოფიციალურად რეგისტრაციის მეშვეობით.

საკონტაქტო პირი: თეონა ფარჯიანი / ტელ: 599 40 52 16/ - მერის მოადგილე;
დავით ხარშილაძე /ტელ: 599 85 72 65 / - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა N73.

იჯარის ობიექტის პარამეტრები / მახასიათებლები / თავისებურებები / ნიშან-თვისებები

შემოთავაზებული ფართი უნდა მოიცავდეს შემდეგ პარამეტრებს:

- სასაწყობე ფართი უნდა იყოს არანაკლებ 350 კვ.მ. და არაუმეტეს 500 კვ.მ.
- შენობის სიმაღლე არანაკლებ 5,5 მეტრი;
- შესასვლელ კარში შესაძლებელი უნდა იყოს ინვენტარით დატვირთული სატვირთო / მანიპულატორით შესვლა ტვირთის ჩამოტვირთვის მიზნით;
- დასაწყობებული ინვენტარი უნდა იყოს დაცული დაზიანებისაგან / წვიმა და სხვა) და სხვა გარემო ფაქტორების ზემოქმედებისაგან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინვენტარის უსაფრთხო შენახვა;
- შენობა აღჭურვილი უნდა იყოს ელ. ენერგიით, ასევე, სასურველია წყალიც;
- შენობა აღჭურვილი უნდა იყოს ვიდეო კონტროლის მექანიზმით;
- სასაწყობე ფართი უნდა მდებარეობდეს კულტურის სახლის შენობიდან არაუმეტეს 5 კილომეტრში;
- ფართი უნდა იყოს ერთიან სივრცედ მოწყობილი, შიდა ტიხრების გარეშე ან მინიმალური რაოდენობის ტიხრით;
- ობიექტი უნდა მდებარეობდეს ლოჯისტიკურად ხელსაყრელ ადგილას, სადაც უზრუნველყოფილია სატვირთო და მსუბუქი ავტოტრანსპორტის უსაფრთხო და შეუფერხებელი მისვლა, ხოლო მისასვლელი გზა არ უნდა ხასიათდებოდეს ისეთი მუდმივი სატრანსპორტო შეფერხებებით, რომლებიც მნიშვნელოვნად გაართულებს ინვენტარის გადაზიდვასა და ექსპლუატაციას;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია, ბაზრის კვლევის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, დაათვალიეროს წარმოდგენილი ობიექტები;
- შემოთავაზებული ფართი უნდა იყოს რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;

- იჯარის ხელშეკრულების სავარაუდო ვადა - 3 წელი;
- შემოთავაზებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ხარჯი, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯებიც;

შემოსული წინანდებების განხილვა მოხდება მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ წინადადების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

შენიშვნა: დახურული პაკეტი უნდა მოიცავდეს იჯარით ასაღები ობიექტის საიჯარო ქირას, ამონაწერს საჯარო რეესტრიდან და უნდა იყოს დადასტურება მოცემულ პარამეტრებთან შესაბამისობა.